# დილა კრწანისის ბაღში

ცისკრის შუქი გადეღვარა კრწანისს,
ქარავანი ბორჩალოდან მოდგა;
ვეგებები გუმბათებს და მწვანილს,
მემაწვნეთა უკანასკნელ მოდგმას.

და მძევალი არაგველთა ხიდთან
მხოლოდ ერთი ლამპარიღა ბჟუტავს;
სხივთან ერთად ჩამოვარდა ხიდან
ჩიტისაგან დაკენკილი თუთა

მე ამ თუთის გაზრდილი ვარ, განა,
მისი სიტკბო ჩემს ძარღვებში წვეთავს;
დიდ მომღერალს მე ვინ დამამგვანა,
ჩემი მიწა თუ არ მექნა მწეთა.=

მოდარებულ ცის ნიშანზე ვხვდები,
შუადღისას ულვთოდ უნდა დაცხეს...
ხე შეირხა მიმოხლილი ფრთებით,
მტრედის გუნდი დააფრინდა ცაცხვებს...